

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის .. მარტი

ქალაქი ბათუმი

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „გ“ ქვეპუნქტი (თამაზ დევამე - კომისიის წევრი).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის - თამაზ დევაძის განცხადებით (N11/74; 19/02/2019 წ.), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებით

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ტოვებს საკრებულოს წევრი - თამაზ დევაძე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

კონსულტაციები გავლილ იქნა საკრებულოს წევრთან

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ომარ მახარაძე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის იურიდიული განყოფილების  
უფროსი



სულიკო შვენთიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ სულიკო თებიძეს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრის  
თამაზ დევაძის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, საკრებულოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების თანახმად, ვტოვებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის შემადგენლობას.

განმცხ:



თამაზ დევაძე

19.02.2019 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
შექმის № 11/74  
19 თებერვალი, 2019 წ.